ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №446286

ნომერი: AR193548

თარიღი : 20.11.2012

გაცემის თარიღი : 28.11.2012

გაცნობის თარიღი : 29.11.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გ. ტაბიძე , N 10 , მერიის შენობის უკან ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანდრო გრიგორიანი პ/ნ 01030027290
- თბილისი ო.ქინქლაძის ქ. N 10

ორგანიზაცია:

- ჯაზვე კოდი: 404411427

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

23.11.2012წ. № AR193548 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით ვადის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 20 ნოემბერს №AR193548 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქ. ანდრო გრიგორიანმა და მოითხოვა თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 09 ნოემბრის №426123 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტში დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორება, კერძოდ, პროექტის არქიტექტორად შპს ,,NEO-A"-ს ნაცვლად – ნიკოლოზ ჩხაიძის მითითება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 09 ნოემბრის #426123 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა) გ. ტაბიძის ქ. #10–ში, შპს ,,ჯაზვეს" საკუთრების მიწის ნაკვეთზე კაფეს არქიტექტურული პროექტი და გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა, რომელიც ძალაშია 2013 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით. დოკუმენტაციის შესწავლისას გაირკვა, რომ დამკვეთის მიერ წარმოდგენილ სამშენებლო დოკუმენტაციაში კერძოდ, საპროექტო ტერიტორიის გენერალურ გეგმაზე, შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემაზე, შენობა-ნაგებობის გეგმებზე, ჭრილებსა და ფასადებზე პროექტის არქიტექტორად ნიკოლოზ ჩხაიძის ნაცვლად მიეთითა შპს ,,NEO-A". ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორება, თუმცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–2 ნაწილი განმარტავს, რომ თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

ვინაიდან განმცხადებლის მიერატვირთულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი არ არის არქიტექტორ ნიკოლოზ ჩხაიძის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს 5 სამუშაო დღის ვადაში დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოადგინოს აღნიშნული დოკუმენტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს განმცხადებელს 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს არქიტექტორ ნიკოლოზ ჩხაიძის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა.

2. ბრძანების პირველი ფუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 20.11.2012წ. AR193548 ელექტრონული განცხადება დარჩეს განუხილველი;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.